

თ ე მ ა

(ერთაქტიანი პიესა)

მოქმედი პირები: გაგი - 23 წლის

პაკო - 22 წლის

თემიკო

სცენა წარმოადგენს 23-24 წლის ბიჭის ტიპიურ ოთახს, რომელიც მარტო ცხოვრობს. დგას ერთი საწოლი, მაგიდა, სავარძელი და კარადა. მაგიდაზე დევს კაი ხნის წინ ნაყიდი ლეპტოპი, თერმოსი და ორი ჭიქა. კედლები აჭრელებულია კინორეჟისორების - დევიდ ლინჩის, ალფრედ ჰოჩკოკის, ჯიმ ჯარმუშის და სხვათა პლაკატებით. პაკო ლოგინზე წევს, სცენისკენ ზურგით.

გაგის ხელები პისტოლეტით აქვს შეტყუპებული და მაყურებელს მიუშვერს.

გაგი.

(ისვრის) ბახ! ბახ! ბახ!... უნდა გავისროლოთ ბიჭო,
აუცილებლად უნდა გავისროლოთ! გესმის? პაკო!

პაკო.

(ისე, რომ არც გადმოტრიალდება წაილულლულეებს)
რა უნდა ვისროლოთ ძმა, თოფი თუ პისტოლეტი?

გაგი.

ხუმრობ, შე ჩემა?

პაკო.

რავი, უნდა გავისროლოთო და... ეხლა არა თქვი?

გაგი.

ეგეთი რა მოწიე, რო ველარ გაგიარა? თემამ უნდა
გაისროლოს ბიჭო, თემამ!

პაკო.

(ლულლულით)თემები ისვრიან? ტყვიებს, თუ ისრებს?
ქართულში რო თემებს ვწერდით, ისინი არ ისროდნენ,
დედას გეფიცები...

გაგი გადის, შემოაქვს ვედრით წყალი და პაკოს თავზე დააცლის. გაწუწული პაკო მაშინვე წამოხტება.

პაკო.

(წამოხტება) რას აკეთებ შე ჩემა? გავიწუწე!

გაგი.

(ყვირილით) იმიტომაც დაგასხი! აბა, სხვანაირად ვერ
გამოგაფხიზლე და...

*პაკო თავს აქეთ-იქით გაიქნევს, მერე კი სკამზე გადაკიდებული ხელსახოცით
იმშრალეებს.*

გაგი.

(გაბრაზებული) აქ რისთვის ხარ საერთოდ გახსოვს?

პაკო.

(ცოტა ხნის მერე ახსენდება) აა, ფილმის სცენარი უნდა
დავწეროთ... კონკურსისთვის.

გაგი.

თემა?

პაკო.

(გაიხსენებს) აი, ზუსტად ეგ უნდა მოვიფიქროთ დღეს,
ყველა ვარიანტში!

გაგი.

კეთილი იყოს შენი დაბრუნება. დღეს თუ არაფერი
გადავწყვიტეთ, დაგვერხა პაკო... ერთ კვირაში
დედლაინია. ისედაც დღე და ღამე უნდა ვწეროთ,
სცენარი რო დროზე მოვჯვათ...

პაუზის მერე.

პაკო.

გოგოს და ბიჭის განწირულ სიყვარულზე რო იყოს
სცენარი? აი, ბოლოს რო ცუდად მთავრდება ხოლმე
და მაყურებლები რო ტირიან, ისეთი?

გაგი.

(მწყრალად) შენ რა, კიდე ერთი ვედრო წყალი გინდა
დაგასხა თავზე?

პაკო.

რატო ძმაო? რა, ცუდი თემაა?

გაგი.

ბიჭო, რა დროს განწირული სიყვარულია? ისეთი
თემა გვინდა, რომელიც გაისვრის მეთქი!

პაკო.

და როგორი ისვრის? თქვი შე ჩემა ბოლობოლო!

გაგი.

თემა უნდა იყოს ისეთი, რომელზეც ყველა ილაპარაკებს
ბიჭო, აქტუალური, სკანდალური...

პაკო.

აა, მოვწვი...

გაგი.

ჩვენ თუ თემა მაგარი გავარტყით პაკო, თვითონ
სცენარი როგორი იქნება, მაგას შეიძლება აღარც
შეხედონ ძმაო, ისე მოვიგოთ კონკურსი.

პაკო ლექტორს მიუჯდება.

პაკო.

მერე სკანდალების მეტი რა არი? შევხედოთ
და ავაგდოთ რამე თემა.... (ეკრანს უყურებს) აჰა!
სოფელ ძიჭკვატის გამგებელმა, შემწეობა
ცოცხალი სიდედრის დასამარხად მიიღო!
სკანდალია, აბა რა არი?

გაგი.

ბიჭო, ეგ სკანდალი კი არა, კორუფციაა!
მაგას ჟიური არც განიხილავს, პირველ ორ გვერდს
რო წაიკითხავს, ეგრევე მიაგდება კუთხეში.

ჩვენ სხვანაირი თემა გვინდა, უფრო მაგარი,
აქტუალური, ხერხემლიანი!

პაკო.

კარგი. ყურადღებით გისმენ...

გაგი.

აი წელან სიყვარული ახსენე და იყოს მაგაზე, კი ბატონო.
ოღონდ მოდი, კაცის და კაცის სიყვარულზე იყოს.

პაკო.

(იმედგაცრუებული) ეეე!

გაგი.

რა ეეე? იმათ რა, გრძნობები არა აქვთ?

პაკო.

კარგი რა, ქათმებზე გინდა გამაკეთებინო ჩემი
პირველი ფილმი? ხო იცი როგორ ვერ ვიტან?

გაგი.

ბიჭო, შენ პირად გრძნობებს და ხელოვნებას
რატო ურევ? თუ მაგარი რეჟისორი ხარ, ფილმის
გაკეთება ყველაფერზე უნდა შეგეძლოს. თვითონ
თემაა უკვე ისეთი, რო ყურადღებას ამახვილებს გაიგე?

პაკო.

რითი ამახვილებს?

გაგი.

ჯერ, როგორც კი პრესაში გაჟონავს, პიდერებზე
ფილმს იღებენო, ხო უკვე ყურადღების ცენტრში ვართ?

პაკო.

მაიცა, დედის კალთებს რო დაგვახევენ თავზე,
ეგ ყურადღების ცენტრში ყოფნაა?

გაგი.

ეეე, კარგი რეკლამა, ცუდი რეკლამა, ორივე
რეკლამა! მერე, პრემიერის დღე წარმოიდგინე,
ჩვენ სმოკინგებში, ბაზოჩკებით წითელ ხალიჩაზე....

პაკო.

აქეთ-იქით კიდევ წვეროსანი პატრიოტები კიტრებით და
პამიდვრებით... და როგორც კი გამოვჩნდებით, ეგრევე
დაგვიშვებენ...

გაგი.

კარგია მერე ბიჭო ეგა, კარგი!

პაკო.

რა არი კარგი? ნუ გადამრიე!

გაგი.

რა და ეგ უკვე სკანდალია და სკანდელზე ინფორმაცია
გავა დასავლეთშიც! დაიწერება - პროგრესული ქართველი
რეჟისორები - პაკო და გაგი, იჩაგრებიან თავიანთი
შემოქმედებითი ჭვრეტის გამო, რქიანების მიერ... და ეს
რას ნიშნავს იცი? შეიძლება შემდეგი ფილმი იქ გადავიღოთ!

პაკო.

ჩემი ფეხები! უკვე იმდენი ფილმი გადაიღეს გეებზე,
ეგ თემა უკვე აღარც საინტერესოა და აღარც ახალი!

გაგი.

და შევიტანოთ ჩვენც ახალი დეტალები... ჩვენი ფილმი იყოს
გეიზე, რომელიც უცებ გახდება... (ფიქრობს, მერე აღტაცებით)
ლესბოსელი! ჰა?

პაკო.

(ხელს გაიშვერს პოსტერიკენ) ნახე ჰიჩკოკი როგორ

გიყურებს? ეხლა მე ვარ დაბოლილი, თუ შენ?

გაგი.

(გულწრფელად) ვაღიარებ, სირობა ვთქვი!

აღფრედ სორი! კაი, ჩამოვყაროთ კიდე თემები...ჰა!

პაკო.

მაიცა, ვფიქრობ რა!

პაკო გაივლის- გამოივლის და ფანჯარაში გაიხედავს, რაღაცას აფიქსირებს.

პაკო.

ეე, ეს რას აკეთებს?

გაგი.

ვინ?

პაკო.

შენს წინა ეზოში რო ტიპი ცხოვრობს გიჟია?

გაგი.

რატო?

პაკო.

ბიჭო, ტიპი ძალიან მაგარ ზმანზე იყო - კაი შარვალი, კაი პიჯაკი, პერანგი, ჰალსტუხი... და როგორც კი სახლიდან გამოვიდა, ბუჩქებს ამოეფარა, კაი ზმანი გაიხადა და დამონძილი ჯინსი და დახეული მაიკა ჩაიცვა...

გაგი პაკოს ნათქვამს ყურადღებას არ აქცევს, ლეპტოპს მიუჯდება.

გაგი.

(კომპიუტერთან ზის) რიჟააა?

პაკო.

ჰო. შენ რა იცი?

გაგი.

ეგ ვატოა, დედა ყავს გულით ავადმყოფი...

პაკო.

მერე?

გაგი.

ატყუებს, რო ამერიკულ ფირმაში მუშაობს...

პაკო.

და ცვეტში რას აკეტებს?

გაგი.

ბაზრობებზე ქურდობს... რო მოვა, მაგ ძონძებს
გაიხდის და ისევ მაგარ ზმანზე დადგება, დედა
რო არ ანერვიულოს. (კომპიუტერში მიანიშნებს)

ბიჭო, სექტებზე რო გავაკეთოთ ე?

პაკო.

რა სექტებზე?

გაგი.

აი ჩვენთან მაგათ ხო დევნიან მაგრა და ეგეც ხო
უმცირესობაა, ოღონდ სხვანაირი. ხოდა,
არანაკლებ სკანდალნია ძმაო?

პაკო.

ეე, შენ რა გინდა ეხლა? რო მამაჩემმა თავისი ხელით
მომკლას? ნახევრად ეკლესიაში რო ვარ გაზრდილი
დაგავიწყდა?

გაგი.

სამაგიეროდ მე ვარ მამალი ათეისტი! შენ კიდე,
გამიჯნე მეთქი ხელოვნება და რეალობა,
ეს ორი სხვადასხვა რამეა ძმაო... სექტანტებს
ჩაგრავენ, ჩვენ იმათ ვუთანაგრძნობთ, ესე იგი,

პროგრესული და კაი ტიპები ვართ, ეგეთი ტიპები
კიდე აქაც ფასობს და დასავლეთშიც ევასებათ.
ფორმულაა ეს, გესმის? - წარმატების ფორმულა! ერთი
გავარტყათ, გავისროლოთ და მერე ვაკეთოთ ისეთი
ფილმები, როგორც ნაღდად გვინდა... იქამდე კიდე,
დაიოკე ეგ შენი ქართული, რქებიანი ეგო რა!

პაკო.

კარგი, გავაკეთოთ მაგ თემაზე, ბაზარი არ არი...
რაზე იქნება სცენარი? თქვი....

გაგი.

(ფიქრობს. გულწრფელად.) სცენარი უნდა იყოს
გოგოზე, რომელიც სექტანტია და რომელსაც ჩაგრავენ.

პაკო.

იმიტომ, რომ სექტანტია, თუ იმიტომ რო გოგოა?

გაგი.

(დაფიქრდება. პაუზა.) ბიჭო, ვაბშე გოგოზე ხო არ იყოს,
რომელსაც ჩაგრავენ? ბულნგიც მაგარი აქტუალური თემაა...

პაკო.

ეე, გადაწყვიტე რა ვის ჩაგრავენ! რას დახტიხარ
თემიდან თემაზე?

გაგი.

მე დავხტივარ ხო? მაშინ, შენ თვითონ თქვი რაზე
გავაკეთოთ, სულ მე რო მალაპარაკებ. მიდი, ჰო!
რას მიყურებ?

პაკო.

(ფიქრობს. სერიოზულად.) კრიმინალზე რო იყოს?
აი ბიჭზე, რომელიც ქურდია, აშავებს, მაგრამ

მამენტ ჯიაგარია ტო, გული აქ!

გაგი.

(გაბრაზებული) ეეეე! ამ ქართულ კინოში ხო ვეღარ დამთავრდა ეს „უძინართა მზის“ კომპლექსი რა!

პაკო.

მაიცა, „უძინართა მზე“ ცუდი ფილმია?

გაგი.

ვინ ამბობს რო ცუდია? უბრალოდ უნდა შეიგნო, რო დადო ბაბლუნმა ეს ფილმი და თავისი სათქმელი თქვა ჯიგრულად! შენ, შენი უნდა დადო ბიჭო! როდემდე შეიძლება ამ ფილმის გავლენის ქვეშ იყო, შენც და სხვებიც? უნდა შეეგუო, რო რაღაცა „კარგი“ იყო და დამთავრდა და მერე უნდა იფიქრო ახალი „სიკარგე“ როგორ გააკეთო. აი „დინამომ“ რო 1981 წლის 13 მაისს თასი აიღო, მაგ ამბავს ისე ხშირად ახსენებენ და ისე უაზროდ და მაგის მერე ისეთ ღრმა ტრაკში ვართ წასულები ფეხბურთშიც და არამართო, რო სულ ვეღარ ვიტან მაგ თარიღს ძმაო! იმიტომ, რო წარმატებას კი არ მახსენებს, იმ წარმატების მერე რო ტრაკში ვართ, აი იმას!

პაკო.

(პაუზის მერე. სერიოზულად.) ბიჭო, 17 მაისზე რო გავაკეთოთ სცენარი? თბილისი პრაიდის ამბებზე....

გაგი.

(აღტაცებული) ვაბშე მაგარი ძმაო! ეგ მე როგორ არ გამახსენდა? მამაოები... ტაბურეტკა... მაგარია ტო! ისე, შენგან კი მიკვირს ეგ ამბავი? კაი მე ათეისტი ვარ, (ირონიულად) მაგრამ შენ ხო ხარ ეკლესიაში გაზრდილი წმინდანი?

პაკო.

რავი, გამიჯნე ხელოვნება და რეალობა და - აჰა!

გაგი.

რას ნანობ შე ჩემა? ძლივს პროგრესის გზაზე დადექი!

ფილმის დასაწყისი უკვე ვიცი... წვიმს შხაპუნად...

მაგარი „ტასკა“ მუსიკა ფონად...

პაკო.

რა, წვიმს? იწვოდა ყველაფერი იმ დღეს!

გაგი.

ჩემთან კიდე წვიმს, აი ეგრე მინდა და იმიტომ... აქეთ

დგას ლგბტ თემი - ფერადებში და იქით მამაოები - შავებში!

ამ დროს ცაზე ისახება ცისარტყელა და ეკრანზე სათაური -

„დაუცველი ცისარტყელა“ (აღტაცებული) ჰა? ხო არი

დედის კუკუ ბიჭო?

გაგი ლეპტოპზე ტექსტს კრეფს.

გაგი.

აბა, ვიწყებთ... (ბეჭდავს) დაუცველი ცისარტყელა... სცენარი.

(უცებ დაეჭვდება) ეე, ამ თემაზე ცვეტში არაფერია

გადაღებული? რაღაცამ გამკრა ეხლა თავში ხო იცი...

პაკო.

რავი მე არ მახსენდება და...

გაგი.

ზუსტად ვის ეცოდინება? მინდა ეხლა მე პლაგიატობა რო

დამაბრალონ?

პაკო.

ზუსტად? (დაფიქრდება) ნიკას ეცოდინება.

გაგი.

ნაღდად?

პაკო.

მაგან თუ კინოს ამბები უფრო კარგად არ იცოდეს,
ვიდრე საკუთარ ოჯახში რა ხდება, მე ვიყო მითხუნ
ჩაკრობორტი ძმაო!

გაგი.

დაიცა, დაურეკავ... (ადგება მაგიდიდან)

პაკო.

თან კითხე რას შვრებიან, ეგ და ჭარხალაც ხო სცენარს
წერენ....

გაგი მობილურზე რეკავს.

გაგი.

ალო, ნიკა, გაგი ვარ... ნარმალნა, შენ? რავი აი
სცენარზე ვჩალიჩობთ მე და პაკო და მგონი
წინ მივდივართ... თქვენ რას შვრებით? მესამე
დღეა წერთ? ვაა, მაგარია! ბიჭო რაღაც უნდა გკითხო
რა, შენ ცვეტში გეცოდინება...

პაკო.

ჯერ კითხე აბა ერთი, სცენარს რაზე აკეთებენ....

გაგი.

შენა, რა თემაზე აკეთებთ ნიკუმ? (აღშფოთებული)
17 მაისზე?.. დასირდით თქვე ჩემა? ეგ ჩვენი თემაა!
დაწყებული გვაქ აბა რა, უკვე დავწერთ... სათაური.
რა ყველაფერი დასწრებაზეა, მე ამის დედა ვატირე!
(თიშავს ტელეფონს ნირწამხდარი)... იმათი ცისარტყელა
დადლილია...

პაკო.

კაი დაიკიდე რა, სხვას მოვიფიქრებთ რამეს.

გაგი.

დრო გადის ბიჭო, დრო, ჩვენ კიდე თემაც არ ვიცით
ჯერ! ველარ მოვასწრებთ!

ისმის გაბმული ზარის ხმა.

გაგი.

ეს ვინლაა? (გადის)

პაკო იღებს თერმოსს, რომელიც მაგიდაზე დგას, ხსნის, ჩახედავს და მერე სუნავს.

პაკო.

ყავა. კარგია....

პაკო ჯიბიდან იღებს ტაბლეტებს და თერმოსში ყრის. მერე მაგრად შეანჯღრევს.

პაკო.

ფხიზელი თავით არაფერი გამოგვდის და იქნებ ამან
გვიშველოს...

პაკო, იქვე მდგარ ჭიქებში ასხამს ყავას. გაგი ბრუნდება.

პაკო.

ვინ იყო?

გაგი.

მეზობელი, მოზრდილი ყუთი ან სკივრი ხო არა გაქო...

პაკო.

რა ჯანაზად უნდა?

გაგი.

ამერიკაში უნდა შეიპაროს არალეგალურად...

პაკო.

მერე?

გაგი.

ავტობუსის ბაგაჟნიკში უნდა შეტენონ და ეგრე უნდა
იმგზავროს ორი დღე...

პაკო.

მერე?

გაგი.

რა მერე შე ჩემა? უნდა რო ივარჯიშოს, რეპეტიციას
გადის კაცი! შენ, რამე თემა ხო არ ააგდე ამასობაში?

პაკო.

თემა არა, მაგრამ აი ყავა გქონია და ჩამოვასხი,
დავლიოთ, ცოტა პაუზა ავიღოთ, თორე გადახურდა
თავი.

გაგი.

ჰო, ეგ კარგი მოიფიქრე. მაიტა, ეხლა ყავა გაასწორებს...

ბიჭები ყავას სვამენ. ცოტა ხანში საუბარს იწყებს გაგი.

გაგი.

შენა, 2 წლის წინ რო დაამთავრა თეატრალური...

ლიკუნა ხო გახსოვს?

პაკო.

რომელი? იასამნისფერი თმები რო აქ?

გაგი.

არა, ის იასამნისფერი მაკუნაა... ლიკუნას მწვანე თმები

აქ, ყვითელი კოპლებით...

პაკო.

აა, აზრზე ვარ. მერე?

გაგი.

გოგომ ისეთი ფილმი დადო, პრემიერა ხო ჩაუშალეს,
ქალაქში ხუთ ადგილას დედა აგინეს, ცემეს და დღემდე
ავიწროვებენ... აზრზე ხარ, რა წარმატებული რეჟისორია?

პაკო.

ნუ, მოყვება გოგოს ნიჭი ეტყობა!

გაგი.

აშკარად ჩემი! ბიჭო, რაღაცა გემო არა აქ ამ ყავას?

პაკო.

(ოდნავ იბნევა) ეგ... წარმატების გემოა ბიჭო!

(იცინის) ჰა, ჰა, ჰა!

გაგი.

ნეტ, ნეტა! უნდა გავისროლოთ პაკო აუცილებლად,

ეს კონკურსი უნდა მოვიგოთ ძმაო!

პაკო.

რამე პატრიოტული ხო არ შევავდოთ გაგი? ომზე,

გმირებზე, დაღვრილ სისხლზე...

გაგი.

გამორიცხე!

პაკო.

რატო?

გაგი.

წამგებიანი თემაა ძმაო, გადავიღებთ გმირებზე და

ყველა ტაშს დაგვიკრავს, ცვეტში ეგეთი მაგრები ვართ

ქართველებიო! მანდ სკანდალი სად არი აბა? ვერ ააგორებ,

შანსი ნოლია!

პაკო.

და ტრანსგენდერზე რო გავაკეთოთ?

გაგი.

ვააა, ეგ თემა როგორ გამოგვრჩა? (ალტაცებული) ძალიან

მაგარი ძმაო! ცვეტში ძლიერი! ადამიანი რომელიც ირჩევს

ახალ სქესს და რეალობას, მაგრამ რეალობა მას არ იღებს,

უსკანდალესი, შენ ძმობას ვფიცავარ! საიდან გაგახსენდა?

პაკო.

ბიჭო, უბანში ცხოვრობს ჩვენთან, ერთი ეგეთი რა...

გაგი.

მართლა? ვაბზე მაგარი, დავაწერთ - დაფუძნებულია
რეალურ ფაქტებზე. მოყევი რა ტიპია...

პაკო.

რავი, ტრანსგენდერია რა....

გაგი.

უბნის ბიჭები დასცინიან ხო, მასხრად იგდებენ, იმ
საწყალს?

პაკო.

არა შე ჩემა იმას ვინ დასცინებს ისეთი მოხეულია?!

თან, მურტალი ხასიათი აქ და დედამისს ურტყამს ხოლმე...

გაგი.

ოოო, მაშინ ეგ თემა არ წავა.

პაკო.

რატო?

გაგი.

ჩენ ისეთი ისტორია გვინდა, სადაც ტრანსგენდერს
ჩაგრავენ, უკულმა არ გამოვა...

პაკო.

რატო რა? ყველა ტრანსგენდერი ფსიქიკურად
გაწონასწორებული და დაბალანსებული ნერვული
სისტემის პატრონია? მაგათ რა, ცუდი არაფერი
შეიძლება ჩაიდინონ?

გაგი.

ალბათ შეიძლება, მაგრამ ჩვენ არ გვაწყობს... გაიგე,
რომ ჩვენ უმცირესობის მხარეს ვართ.

პაუზა.

*პაკოზე უკვე მოქმედებას იწყებს მიღებული ნარკოტიკი, რითმულად იწყებს ადგილზე
ძიგძიგს და თავის ქნევას, როგორც ამას ღამის კლუბში ცეკვის დროს აკეთებენ.
აქტირებული და უაზროდ აქტიური ხდება, ლაპარაკისას ხელებს მანერულად შლის.
ჩვეულებრივზე ხმამაღლა იწყებს ლაპარაკს.*

პაკო.

გაგუმ, მოდი ქუჩაში გავიდეთ, ათი-თორმეტი
ჯანიანი ტიპი მოვნახოთ და აუშარდეთ!

გაგი.

(გაკვირვებული) რა ვქნათ?

პაკო.

აუშარდეთ... ვაგინოთ, სირები და შნირები ვეძახოთ,
კიდე რა ცუდობებიც გაგვახსენდება, ისინიც თავზე
დავაყაროთ.

გაგი.

(ბრაზდება მაგრამ არ იმჩნევს) მერე?

პაკო.

მერე, ხო დაგვიჭერენ და ცვეტში მაგრად გაგვძუნიან?
აბა ეხლა თორმეტ კაცს, ორი როგორ მოვერევით?!

გაგი.

(ინტერესით) გააგრძელე, გააგრძელე...

პაკო.

ხოდა, ჩვენ ხო უმცირესობა ვიქნებით არა?

იმიტო რო, თორმეტი ხო უფრო მეტია ვიდრე ორი?

ხოდა, თან თავ-ყბას რო გაგვიერთიანებენ, ესე იგი

დავიჩაგრებით კიდევ, ხო ლოგიკურია რასაც ვბაზრობ?
ხოდა, მერე უმცირესობაც სახეზეა და დაჩაგვრაც და
გავაკეთოთ მაგაზე რა კინო... თან რეალურ ფაქტებზეც
იქნება.

გაგი.

აზრზე ხარ რეებს ბაზრობ?

პაკო.

ბიჭო, აბა ვერ ვდებთ ამ სცენარის თემას მერამდენე
დღეა და შევქმნათ რა ჩვენ თვითონ, ხელოვნურად...
თორე, გასკდა თავი!

გაგი.

აღიარე, მაინც ჩაკაიფდი არა?

პაკო.

არა, შენ ძმობას ვფიცავარ! წელან ყავა რო დავლიეთ
ერთად, იმის მერე პირში არაფერი ჩამიშვია.

გაგი.

იტყუები შე ტრაკო! აბა, ესე სტრანნად რატო
მიგძიგებ?

პაკო.

(მიგძიგს წყვეტს) არა... პროსტა... პროსტა
შემოქმედებითი წვა მაქ და ვერ ვისვენებ
ერთ ადგილზე. ტვორჩესკი ჩამერთო, გამიგე რა,
ხელოვანი კაცი არა ხარ?!

გაგი დანანებით იქნევს თავს.

გაგი.

(გაბრაზებული) რამდენჯერ უნდა გითხრა? შემოქმედებას
ფხიზელი თავი ჭირდება, ამიტომ გოგრა არაფრით

არ უნდა მოიწამლო, როცა რამეს აკეთებ. შემოქმედება
თვითონ არი ბიჭო კაიფი, რალა წამალი გჭირდება,
მთელ სამყაროს ქმნი შენ ჭკუაზე!

პაკო.

(ირონიულად) თემა თუ იცი, კი.

გაგი.

პირიქით, გონება ფხიზლად უნდა გქონდეს, რომ
უკეთ იაზროვნო....

ამ სიტყვებზე გაგი ჭიქაში ყავას ისხამს თერმოსიდან.

გაგი.

... რო არცერთი დეტალი არ გამოგრჩეს. რო

მაქსიმალურად მოახდინო მაყურებელზე ზემოქმედება.

*გაგის ჭიქა ტუჩებთან მიაქვს, პაკო გაფრთხილებას აპირებს, მაგრამ ველარ ასწრებს, გაგი
ყავას გემრიელად მოსვამს. ამ დროს რეკავს გაგის ტელეფონი, რადგან მას ხელში ჭიქა
უჭირავს, ტელეფონს ხმამაღალზე ჩართავს. ისმის ასე 50 წლის კაცის ხმა.*

კაცი.

... ალო, მისმენ ხო?

გაგი.

(გაკვირვებული) კიიი....

კაცი.

ჰოდა, მომისმინე ახლა და თემას გეტყვი ისეთს,

უკეთესს რო ვერ ინატრებ, ყურადღებით მომისმინე...

გაგი.

კი, ბატონო, გისმენთ...

პაკო და გაგი ინტერესით უსმენენ.

კაცი.

ბიჭო, რაზე გააკეთე იცი? ოკუპაციის ზონაში,

რუსების გავლებული, ვითომ საზღვრებით,
გაყოფილ მიწებზე რო ხალხი ცხოვრობს,
იმათზე. იცი რამდენი ისტორია ვიცი? წარმოიდგინე,
ცოლი აქეთ არი და ქმარი იქით... გიჟდებიან ისე უყვართ
ერთმანეთი, დრო აქვთ გამოთვლილი, რომელ დღეს და
რომელ საათზე პატრულირებენ რუსები და იმის მიხედვით
ნახულობენ ერთმანეთს იმ გახლართული მავთულების
აქეთ-იქიდან...

*გაგი და პაკო ისევ უსმენენ, მაგრამ როგორც კი გაერკვევიან რა თემას სთავაზობთ უცხო
კაცი, ორივე დაიჯღანება იმის ნიშნად - არა, ეს თემა არ წავაო. პაკო, ნელნელა ისევ
ადგილზე მიგძიგს და თავის რითმულად ქნევას იწყებს.*

კაცი.

... იმ მავთულებს შორის ხელის შეხება წარმოიდგინე
ბიჭო და იმ ხელების სითბო, უკეთესი თემა რა გინდა
მითხარი? შენ ოღონდ მოინდომე და დეტალებში მოგიყვები
ამ ცოლ-ქმრის ამბავსაც და კიდევ სხვებისაც. ისეთი ისტორიებია
გაგიჟდები. ალო, თემო... სადა ხარ? ალო...

გაგი.

თემო არა ვარ!

კაცი.

აუფ, სხვაგან მოვხვდი? მაპატიე გენაცვალე!

გაგი.

არ უნდა დახედო მერე სად რეკავ? (თიშავს ტელეფონს)

ისმის ზარის ხმა.

გაგი.

ეს ვინლაა? ხო არ გაცდიან მუშაობას „მაზა ფაქა“ რა!

პაკო.

იყავი, მე გავაღებ, თან რამე წვენივსაც გავაძრობ, თორე პირი გამიშრა.

გაგი.

მიდი რა, ძმურად!

პაკო გადის, გაგი კომპიუტერს მიუჯდება. აქ უკვე გაგისაც ეტყობა ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედება, მართალია არ ძიგძიგებს, მაგრამ აჟიტირებულია და უაზროდ ლაპარაკობს.

გაგი.

(კომპიუტერის ეკრანს უყურებს. აჟიტირებული. აგრესიულად.) როგორ მომბეზრდა ამ ცარიელი ფურცლის ყურება! რით ველარ შეგავსე ბიჭო? როდემდე უნდა იყო, ესე ნერვებისმომშლელად თეთრი და ფითქინა? რა იყო? არ მოგწონვარ? ვისზე ნაკლები ვარ, მითხარი ერთი! (ხელით ემუქრება ეკრანს) მაინც დაგაწუწებ ჩემ გენიალურ ნააზრევს, შე ახვარო შენა! ხოო, მიყურე, მიყურე! შეგისრულებ იცოდე!

შემოდის პაკო, ძიგძიგით. ხელში უჭირავს საქალაღდე და ორი წვენის ბოთლი. ბოთლებს მაგიდაზე აწყობს, საქალაღდე ისევ ხელში აქვს.

პაკო.

გაგუმ, რა უნდა გკითხო...

გაგი.

ეეე, ვერ ხედავ რო ცარიელ ფურცელს ველაპარაკები? მაცალე რა საუბარი!

პაკო.

(გულწრფელად) აუ, იზვინი რო გაგაწყვეტინეთ. შენ, კონსტანტინეს იცნობ?

გაგი.

ვინ კონსტანტინეს?

პაკო.

შენ მეზობელს, მეოთხეზე რო ცხოვრობს...

შენი მალლის, მალლის, მალლა... მარტოხელა კაცი რა.

გაგი.

ეგ კიდე ცოცხალია? ორასი წლის არი მგონი უკვე...

პაკო.

ორი კვირის წინ მომკვდარა და ეს შენ დაგიტოვა.

(საქალაქდეს აჩვენებს)

გაგი.

ეგ რა არი?

პაკო.

თავისი ცხოვრების ამბავია რა, მაგარი საინტერესოდ
უცხოვრია ტიპს. ხოდა, შვილები მე არა მყავსო და
შენ გაჩუქა, რეჟისორი კაცია, უნდა კინო გადაიღოს
ამის მიხედვით, უნდა რომანი დაწეროსო.

გაგი.

აზრზე ხარ ბედი როგორ დამცინის? წამის წინ ცარიელ
ფურცელს ვეხიპიშებოდი და ეხლა სხვისი გავსებული
ფურცლები დამადგნენ თავზე!

პაკო.

გადავხედოთ შე ჩემა, იქნება მართლა რამე კარგი
წერია შიგნით?

გაგი.

კოტეს დაწერილი რა უნდა იყოს ბიჭო? ბოლოს
თავის სახელი აღარ ახსოვდა, მიაგდე სადმე!

*პაკო საქალაქდეს სცენის სიღრმეში მოისვრის. როგორც კი საქალაქდე ეცემა, სცენაზე
მალლიდან იყრება ტექსტით სავსე ფურცლები.*

პაკო.

ეს რაღაა ჩემი? ნახე, გაივსო ბიჭო შენი აივანი... საიდან
ჩამოიყარა ამდენი ფურცელი?

პაკო რამოდენიმე ფურცელს იღებს და დახედავს.

პაკო.

ვიღაც ტიპების ისტორიებია ეე... ზოგი ძველი,
ზოგი ახალი... ფოტოებიც არი.

გაგი.

(გაბრაზებული) აუ, ამათ ხო გამიხურეს საქმე! ჩემს
ზემოთ ხო არასამთავრობოს ოფისია, ადამიანის ცხოვრებას
თუ რაღაცას იკვლევენ ის ჩემისები და ხან ფურცლებს
მაყრიან თავზე და ხან ცხელ ყავას მასხავენ კისერში!

გაგი ზემოთ აიხედავს და ასძახებს. პაკო ისევ ფურცლებს ჩაჰყურებს.

გაგი.

(ყვირის) მოდით და აკრიფეთ ეხლა ეს თქვენი
ნაგავი! მე ხელს არ მოვკიდებ იცოდეთ!

პაკო.

(ფურცელზე მიუთითებს) გაგუმ, მაგარი საინტერესო
რამეები წერია აქ, შენ ძმობას ვფიცავარ... აი ნახე, ეს
ტიპი...

გაგი.

გეყოფა რა გართობა შე ჩემა, შეიგნე დრო აღარ არი,
ვეღარ ვასწრებთ!

*გაგი ფურცელს გამოგლიჯავს ხელიდან პაკოს, დაჭმუჭნის და მიაგდებს. პაკო არაფერს
ელბნება, ისევ ძიგძიგებს. მას აყვება გაგიც. ორივე უკვე ნარკოტიკის ძლიერი
ზემოქმედების ქვეშ არის, ჰიპერაქტიური, აჟიტირებული და მანერულები არიან.*

გაგი.

რა ვქნათ ბოზი ვიყო? გავიდა დღევანდელი დღეც
და არაფერი.

პაკო.

ხვალ ისევ მოვსხდეთ რა...

გაგი.

რისთვის? რო ისევ უაზროდ გავიდეს დღე და
ისევ არაფერი?..

პაკო.

შენც ხო ხედავ, რო ვცდილობთ, მაგრამ არ მოდის
ეს თემა და რა ვქნათ ძმაო?

გაგი.

(აჟიტირებული) ბიჭო, დაუძახეთ, რო მოვიდეს?
ვთხოვეთ?

პაკო.

არა, ეგეთი არ მახსოვს...

გაგი.

მერე, ვთხოვოთ და იქნება მოდის?

პაკო.

დაიწყე....

ორივე ისევ ძიგძიგებს, თან სცენის მიმართულებით იყურება და ყვირის.

გაგი.

(ყვირის) თემაა! თემაა! სადა ხარ? თემა, გესმის
ჩვენი? რატო გვაიგნორებ ძმაო? მერამდენე დღეა
ორი დასტონი ბიჭი გეძახით და არ მოდიხარ!

პაკო.

(ყვირილით) მოდი რა, შენ ძმობას ვფიცავარ,
მაგარ კინოს დავდებთ... ოქროს დათვს და ლომს

თუ ვერა, სელაჰს ან შიმპანზეს ცვეტში გავარტყამთ!

გაგი.

მაინც არ მოდის....

პაკო.

ბიჭო, იქნება არასწორად ვეძახით და წყინს?

ჯიგრულად გავძახოთ რა, შინაურულად -

თემუკაა! თემუშკიი! თემიკოოო! მოდი რა,

თორე ვიფიქრებთ, რო ჩვენი განზრახ არ გესმის

და მაგარი გულთან მივიტანთ!

პაუზა. სიჩუმე.

პაკო.

არა... არ მოდის!

გაგი.

ხოდა ეხლა თუ არ ვაგინოო! თემა, მოდი შენი....

(შეგინებას აპირებს)

თემიკო.

მე, მეძახით?

სცენის სიღრმეში დგას ტიპი. მისი სამოსი საგაზეთო სტატიების, ინტერნეტ ქრონიკების, ფოტოქრონიკების და საკალენდრო თარიღების კოლაჟისგან შედგება, სახეზეც და ხელებზეც რაღაცეები აწერია.

პაკო.

(შეშინებული) შენ ვინა ხარ?

თემიკო.

ის ვისაც ეძახდით... თემა, თემუკა, თემუშკი,

თემიკო!

გაგი.

ცვეტში შენა ხარ?

თემიკო.

„ცვეტში“ მე ვარ!

თემიკო ბიჭებს უახლოვდება.

გაგი.

„რესპექტ“, არ მეგონა თუ მოხვიდოდი!

თემიკო.

მომიწია მოსვლა... იცით რატო?

ბიჭები სინქრონულად მიგძიგებენ ადგილზე და სინქრონულადვე გააქნევენ თავს უარყოფის ნიშნად - არ ვიცითო.

თემიკო.

იმიტომ რო ვერ მამჩნევთ. ათასი სისულელითა
გაქვთ ეგ თავები გამოტენილი, სკანდალებზე
და იაფფასიან პოპულარობაზე ფიქრობთ, მე კიდე
ცხვირწინ გიდგავართ, მაგრამ ვერ მამჩნევთ!

პაკო.

ეხლა მოხვედი და როგორ შეგამჩნევდით?

თემიკო.

(პაკოს რეპლიკას ყურადღებას არ აქცევს, ისე აგრძელებს)
როგორ აღარ ვცადე თქვენამდე მოღწევა, ხან ფანჯრიდან,
ხან კომპიუტერიდან, ხან ტელეფონით, ხან მკვდარი
მეზობლის უკანასკნელი სურვილით, ბოლოს სულაც
თავზე დაგეყარეთ თოვლის ფანტელივით მაგრამ... ჩემი ფეხები!
ვერ მხედავთ... ვერ მამჩნევთ... მეე, თემას! თემიკოს!

გაგი.

ეე, გვსაყვედურობ?

თემიკო.

ნაღდი თემა როგორ უნდა დაგელოს ბიჭო, თუ

მართლა უნიჭო იდიოტი არა ხარ? შემომხედეთ აბა...
(დატრიალდება) სავსე მაქ სხეულიცა და ტანსაცმელიც
ამბებითა და ისტორიებით... ცოდვა გინდა? აქ არი. მაღლი
გინდა? ისიც აქ არი. გინდა, მაყურებელზე ისე იმოქმედო,
განვლილი ცხოვრება უცხო ენის ლექსიკონით გაუგებრად
ეჩვენოს და ყველაფერს ახლებურად შეხედოს? გინდა,
ყველაფერი უკეთესობისკენ შეაცვლევინო? აი, მხარზე
რო მაწერია (ხელს იღებს) ეს მოუყევი და ახლიდან დაიბადება,
განიწმინდება ჩვილი ბავშვივით... ხელჩაქნეული კაცი გინდა
გაამხნეო? მარჯვენა ბეჭზე რო მაწერია ეს ამბავი მოყევი და
ისეთ სიტბოს ჩაუყენებს გულში, სიცოცხლის ბოლომდე
ემახსოვრება... ყველაფერი აქ არი, შენ მარტო კითხვა უნდა
იგოდე ტუტუც, რო მოხვიდე და წაიკითხო!

პაკო.

(ნაწყენი) ეეე, ჩვენ სალანძღავად კი არ დაგიძახეთ!
გვინდა რო სცენარის წერაში დაგვეხმარო!

თემიკო.

კი არ გლანძღავთ, გასწავლით. (მკლავებს აიკაპიწებს)
თანაც მარტო მაგიტომ არ მოვსულვარ....

გაგი.

(დამფრთხალი) კიდე რამეს გვიპირებ?

თემიკო.

ისეთს არაფერს, ერთი-ორს წაგითაქებთ მაგ ფუყე
გოგრებში, რო ნაღდი თემის გარჩევა ისწავლოთ,
ჩარჩულისგან...

პაკო.

ეეე, წადი რა თავი დაგვანებე... (გაგიზე) ამის ბრალია

ისე ყველაფერი, იცი რამდენი კარგი თემა შევთავაზე?
აი, შენ ნაღდად მოგეწონებოდა. მაგრამ არაო.... სკანდალიო,
ჩაშლილი პრემიერაო, ესაო, ისაო...

გაგი.

ეეე, ვის აბრალებ მაგას შე უნიჭო, მეეე? მე
რო არ ვიყო, საერთოდ რისი გამკეთებელი ხარ?

გაგი და პაკო ერთმანეთისკენ მიგმივით იწევენ საჩხუბრად.

პაკო.

ხელი არ დამადო, არაფერი შეგეშალოს...

გაგი.

თორე რაა ბიჭო? ვინც შენთან ფილმი გააკეთოს,

ის იყოს მისტერ ბოლივუდი!

თემიკო.

ეე, მოდით აქა, თქვენი!

*თემიკო ბიჭებისკენ წავა. ჩაბნელება. ისმის გაგის და პაკოს რეპლიკები. - აა, ხელიი!
მეტკინაა! გამიშვიი! ნუ მირტყამ! მეტს აღარ ვიზამთ! კი, კი დავიმასხოვრეთ! თავი
გაგვანებე! მტკივა ეე! და ასე შემდეგ.*

*შუქი ინთება. პაკო და გაგი იატაკზე ყრიან, ერთმანეთისთვის ხელი აქვთ ჩაჭიდებული,
იკითხება რომ სანამ გაითიშებოდნენ, ჩხუბობდნენ. ტანსაცმელი ორივეს აჩაჩული და
ალაგ-ალაგ დახეული აქვს.*

გაგი.

(კვნესის) ვააახ, თავიი!

პაკო.

(კვნესის) წელი, წელი... რა გვირტყა ჩემი, იმ თემიკოა თუ
ვიღაცა ჯანდაბამ... ვინც კიდე სცენარის დაწერაზე იფიქროს,
მე იმის!.. შემეშვი თუ ძმა ხარ...

გაგი.

(დაფიქრდება) თუ თემიკომ გვირტყა, ერთმანეთისთვის

რატო გვაქ ხელები ჩაჭიდებული?

პაკო და გაგი წამოჯდებიან.

პაკო.

აბა, ერთმანეთი ვცემეთ? რო გავიქაჩეთ, ეგ კი მახსოვს

მაგრამ... მაგრამ, თემიკოც ხო იყო?

გაგი.

იყო, აბა ხო არ მოგვეჩვენა?!

პაკო ძირს დაგდებულ თერმოსს იღებს და გადმოატრიალებს, თერმოსი ცარიელია.

პაკო.

მამენტ, კი!

გაგი.

(ხვდება რაშიც არი საქმე) ყავაში ჩაყარე არა რაღაცა,

შე კრისა, შენა?

პაკო.

მეთქი იქნება გახსნას რა...

გაგი.

(ირონიულად) მაგრად გახსნა! (საათზე დაიხედავს)

ხუთი საათია გათიშულები ვართ, ღამეა უკვე... ვახ თავი!

რა ჯანდაბა ჩაყარე ესეთი? ამაყენე!

ბიჭები ერთმანეთს აყენებენ.

პაკო.

ნუ გემინია, მთავარია ერთმანეთი არ დავხოცოთ

და ეს არ მოგვკლავს...

გაგი.

ამის დრო იყო ბიჭო ეხლა? ხუთი საათი დავკარგეთ,

ისედაც წამებს ვითვლიდი! მორჩა მე ვიწყებ სცენარის

წერას...

გაგი ლექტორს მიუჯდება.

პაკო.

თემა?

ამ სიტყვის გაგონებაზე გაგის უსიამოვნოდ გააჟრჟოლებს, თუმცა არ იმჩნევს.

გაგი.

თემა? თემა ვიცი... რა პრობლემაა?

პაკო.

რაზეა?

გაგი.

რაზეა და... (ფიქრობს) გეი ბიჭუნაზე, რომელიც ცდილობს დაამტკიცოს, რომ... რომ სრულფასოვანი კაცია!

პაკო.

აჰა... თან კაცობა უნდა და თან... (თამაშობს რომ ხვდება რაზეა ლაპარაკი) კი ბატონო... (გაგის გვერდით ჯდება) დავწეროთ მაგაზე, რადგან ამ თემას კარგად ხედავ... დავწეროთ!

გაგი.

„ნაზი მამრი“... ასე დავარქმევ.

პაკო.

სხვა ვარიანტი ხო არ ჯობია? მაგალითად... „სქესში გაქედილი“?

გაგი.

(ფიქრობს) არა, ცუდი ნაღდად არ არი, მაგრამ ცოტა დისკრიმინაციულად ჟღერს, გაიგე? და ჩვენ ხო მაგას ასი წელი არ ვიკადრებთ?

პაკო.

კი ბატონო. იყოს - „ნაზი მამრი“, მე მომწონს.

გაგი ბეჭდავს.

გაგი.

ნაზი მამრი... სცენარი.... 25-27 წლის, წარმოსადეგი,
ათლეტური აგებულების კაცი, უღვაშზე ხელს გადაისვამს,
მერე უღვაშს ნაზად ასწევს ზემოთ და წითელი ფერის ტუჩსაცხს
ფრთხილად წაისვამს, ლამაზ ტუჩებზე... ჰა, როგორია?

პაკო.

(გახარებული) აჰა, რო დამცინოდი, გახსნა თუ არა?

*ამ დროს ისმის ბრაზუნის ხმა, მერე ჩქარი ნაბიჯების და სცენაზე შემოდის
პისტოლეტმომარჯვებული თემიკო, პოლიციის ფორმაში.*

თემიკო.

(ყვირის) არ გაინძრეთ, თქვენი! ზედმეტი მოძრაობის

გარეშე! ხელები დამანახეეთ!

*გაგის და პაკოს თემიკოს დანახვაზე ენები ჩაუვარდებათ და დამფრთახლები ხელებს
მაღლა წევენ.*

პაკო.

(დამფრთხალი) მართლა მოვიდა ჩემი კარგი...

გაგი.

ბიჭო, აღიარე, კიდე რამე დამალევიან?

პაკო.

არა, მე ვიყო ბორატ საგდიევი!

გაგი.

აბა რატო გვეჩვენება?

თემიკო.

ხმა! კრინტი ბიჭო!

პაკო და გაგი გაისუსებიან. თემიკო ისევ პისტოლეტშემართულია.

თემიკო.

პალიკო ნემსაძე და გაგი გაბედავა სად არიან?

რა უქენით?

გაგი და პაკო ერთმანეთს შეხედავენ გაკვირვებულები.

გაგი.

ეგ ჩვენა ვართ.

თემიკო.

თქვენ?

პაკო.

ჰო. მე პაკო ვარ, ეს გაგი.

თემიკო.

თქვენმა მშობლებმა დაგვირეკეს, მეექვსე საათია
ვერ უკავშირდებითო... აქაც იყვნენ, ჩამოიღეს ეს კარი,
აქ თუ იყავით, ვერ გააგებინეთ?

გაგი.

ააა... (მოეშვება) საქმე იმაშია, რომ მე და პაკო, სცენარს
ვწერთ... ჰოდა, ისე ვიყავით გართულები წერაში,
ეტყობა ვერ გავიგეთ.

პაკო.

შემოქმედებითი წვა როცა მიდის, ვითიშებით ხოლმე რა...

თემიკო.

უუფფ, მერე ვერა თქვით თქვე კაი ხალხო? გასკდა ის
ხელხი ნერვიულობით. (რაციაში) შეფ, ორივე ცოცხალია
და კარგად არის! კი, კი... სცენარს ვწერდითო და
ხელოვანი ხალხის ამბავი ხო იცით... კარგი. (თიშავს რაციას)
რადგან სანერვიულო არაფერია, დაგტოვებთ!

*თემიკო უკვე გასვლას აპირებს, ბიჭები ამოისუნთქავენ, ილიმიან. თემიკო იარაღის
შენახვას აპირებს, მაგრამ მოულოდნელად აღარც იარაღს შეინახავს და ბიჭებისკენ
ტრიალდება.*

თემიკო.

რაზეა თქვენი სცენარი, თუ საიდუმლო არ არის?

გაგი.

სცენარი? რაზეა და... ჯერ სულ ახლახანს დავიწყეთ და...

თემიკო.

უფ, წარდგენა დამავიწყდა... სერჟანტი თემიკო ნამორამე.

ისე მიყვარს, კინო, ისე რომ... ჰოდა რა თემაზეაო? რაზეო?

მოიცა, თვითონ ვნახავ...

თემიკო ლექტორს შემოატრიალებს და ტექსტს წაკითხავს. წაკითხვის მერე, სახეზე იმედგაცრუება გამოესახება.

თემიკო.

ახლა, ეს კი არ არის ჩემი საქმე... ჩემო გაგი, ჩემო პაკო,

მაგრამ ასეთ იაფფასიან და სპეკულანტურ თემებზე

დიდი კინოს კეთება რა საკადრისია?

პაკოს და გაგის ტექსტები და განწყობა ეცნობათ და დაიძაბებიან. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ თემიკო არაფრით არ ინახავს პისტოლეტს, პირიქით საუბრის დროს აქნევს და ბიჭებს ცხვირწინაც უტრიალებს.

თემიკო.

საერთოდ, კაცი რო კინოს გადაღებას აპირებს, რასა აქვს

გადამწყვეტი მნიშვნელობა თუ იცით? არა ხო... მე გეტყვით.

თემას ბიძიკო, თემას. ახლა თქვენი კინო როგორც იწყება, ეგ

კარგი თემაა?

გაგი.

რატო არა რო?

თემიკო.

ამას იმიტომ აკეთებთ, რო სკანდალი გამოიწვიოს,

შეგამჩნიონ და გამოჩნდეთ... და არა იმიტომ, რო გაწუხებთ.

მე გეტყვით კაი თემას და იმაზე გააკეთეთ... უმაგრესი ფილმი

გამოვა!

გაგის შეწინააღმდეგება უნდა, მაგრამ ვერ ბედავს.

გაგი.

რაზეა?

თემიკო.

როგორ შეუყვარდა პატიმარს ქალი, რომელიც

თვალთ არ უნახავს. ხო არი ბიჭო, გიჟობა? თქვით ახლა...

გაგი.

(უხალისოდ) ძან მაგარია!

პაკო.

(უხალისოდ) დავეცი!

თემიკო.

აბა სად უღვაშები და სად პომადა... (ლეპტოპზე მიუთითებს)

წავშალო?

გაგი.

მიდი... წაშალე.

თემიკო დაწერილ ტექსტს შლის და პისტოლეტს ინახავს.

თემიკო.

ყველაფერს მოგიყვებით დეტალებში...

გაგი კომპიუტერთან ჯდება.

პაკო.

გაგი, ახალ სცენარს რა დავარქვათ?

გაგი.

„და ჩვენ ჩვეიჯვით“

თემიკო.

რაო?

გაგი.

არაფერი, ისე... კარგი, დავწერთ ამ თემაზე, ოღონდ

ერთი პირობით. უნდა დაგვიჭირო ორივე...

თემიკო.

რატო კაცო? რა დააშავეთ?

გაგი.

საქმეს ჭირდება ესე.

პაკო.

ცოტა ხანი დაგვიჭირე შე კაი კაცო, რა მოხდება? თან

გათიშულები იმიტომ ვიყავით რო ნარკოტიკები

მივიღეთ და ეგ ხო ისჯება?

გაგი.

ხოლო... ეგ თუ არ კმარა, დედასაც გაგინებთ.

თემიკო.

წამობრძანდით აბა განყოფილებაში.

თემიკო ორივეს დაკავებას აპირებს.

გაგი.

სულ ერთი წამით... (ტელეფონზე რეკავს) ნინჩო, გადარეკე

სასწრაფოდ ტელევიზიებში, რადიოებში, გაზეთებში!

მე და პაკოს გვაკავებენ ჩემი! ყველას გააგებინე, ქვეყანა

შეყარე! (თიშავს) (თემიკოს) ხუთი წუთი მოგვეცი რა ძმურად,

მეტი არ გვინდა...

თემიკო.

თქვენ მართლა რა უცნაური ხალხი ხართ.

პაკო.

შენ მაგას ვიზე ამბობ ჩემი?!

თემიკო ბორკილებს ადებს გაგის და პაკოს. პაკო თან ფანჯარაში იყურება.

გაგი.

პაკო, გამოჩნდნენ?

პაკო.

ერთი არხი უკვე აქ არი... აი მეორეც მოდის....

თემიკოს გაგი და პაკო სცენიდან გაჰყავს. პაკო და გაგი ყვირილს იწყებენ.

პაკო.

ეეე, ხელოვანებს გვდევენთან ჩემი! თავისუფალი

ხედვა იჩაგრება....

გაგი.

პროგრესულ რეჟისორებს გვჩაგრავენ, ევროპა, ამერიკაა,

ამას როგორ ითმენ ტო? დაგვეხმარეთ, ქართული კინოს

მომავალი იტისკება!

თემიკო.

ესენი მართლა კაიფში არიან ხო იცი...

*პაკო და გაგი უკვე სცენიდან გასვლას აპირებენ, კულისებიდან ჩანს ფოტო და კინო
კამერების განათება, რომელიც თვალებში ანათებს ბიჭებს.*

გაგი.

(ბედნიერი) პაკო, ჯერ ფილმი და სცენარი კი არა, დაჟე

თემა არ ვიცით და უკვე სკანდალში ვართ, აზრზე ხარ ბიჭო

რა გავარტყით?

პაკო.

(გულაჩუყებული) რა მაგარია ხელოვნება, ჩემი დედა ვატირე!

სამივე გადის.

დასასრული